



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030496674511118

№ 04-217/ო

02 / აპრილი / 2018 წ.

არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში
სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია

"არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზებასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის დარეგულირების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს "არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია" (დანართი N1).
2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის.
3. დაევალოს სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელოვნურის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

**არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში
სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საფუძველზე და განსაზღვრავს პროცესში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების, მთავარი სპეციალისტების (იურისტები), უფროსი სოციალური მუშაკების, სოციალური მუშაკების, ასევე, მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკების კომპეტენციას და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სხვა სუბიექტებთან მათი კოორდინირებული ურთიერთობების ღონისძიებებს.

მუხლი 2. სააგენტოს უფლებამოსილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და მისი განმახორციელებელი სუბიექტები

1. სააგენტოს უფლებამოსილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არის არასრულწლოვანის საპროცესო წარმომადგენლობა, კონსულტირება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მომსახურებაში ბავშვის განთავსება, დასკვნის მომზადება, შემთხვევის მართვის ფარგლებში ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის განხორციელება, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გაწერილი პროცედურების განხორციელება, კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება და ინფორმაციის აღრიცხვა.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში განსაზღვრულ ფუნქციებს სააგენტო ახორციელებს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების, მთავარი სპეციალისტების (იურისტები), უფროსი სოციალური მუშაკების, სოციალური მუშაკების და ასევე, მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკების მეშვეობით.

3. სააგენტო პროცესში ერთვება გამომძიებლის, პროკურორის და მოსამართლის მიმართვა/დადგენილების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმართვა ხორციელდება არასამუშაო საათებში/დღეებში, ან სატელეფონო შეტყობინებით, მიმართვა/დადგენილება სააგენტოს წარმომადგენელს უნდა გადაეცეს ადგილზე მისვლისას.

4. მიმართვა/დადგენილებაში დასაბუთებული უნდა იყოს, როგორც კანონიერი წარმომადგენლის, ასევე, სანდო პირის ვერ მოძიების შესახებ ინფორმაცია და სოციალური მუშაკის, როგორც საპროცესო წარმომადგენლის, ჩართვის საჭიროება.

5. საქმეზე რამდენიმე არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებული/ზრალდებულის არსებობისას, სააგენტო გამოყოფს საჭირო რაოდენობის საპროცესო წარმომადგენელს, არსებული საკადრო რესურსის შესაბამისად.

მუხლი 3. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს კომპეტენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველო:

ა) ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების და სოციალური მუშაკების, უფროსი სოციალური მუშაკების და ასევე, მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკების უფლებამოსილების შესრულების კოორდინაციას და ზედამხედველობს ამ პროცედურებში ჩართულ სააგენტოს სხვა თანამშრომლებს;

ბ) ახორციელებს შემთხვევების გადაწყვეტისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ღონისძიებებს და ახდენს საპროცესო წარმომადგენლობის შესახებ მიღებული ინფორმაციის კუთვნილებისამებრ დაუყოვნებლივ გადამისამართებას სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისთვის;

გ) ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის საკითხებზე სააგენტოს ცენტრალურ აპარატში შემოსული ყველა სახის ინფორმაციის აღრიცხვას სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით;

დ) ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში საპროცესო წარმომადგენლობის გაწევის მონაწილეთა (არასრულწლოვანი) შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას და მათი შემთხვევების გადაწყვეტის სტატისტიკურ ანალიზს.

მუხლი 4. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების კომპეტენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები - სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები, რაიონული/საქალაქო განყოფილებები, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი, აჭარის ა/რ ფილიალი, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრი:

ა) მონაწილეობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სუბიექტებისგან შემოსული შეტყობინებების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საპროცესო წარმომადგენლობის გაწევის, შემთხვევის მართვისა და ზედამხედველობის ღონისძიებებში;

ბ) აწარმოებენ შემოსული შეტყობინებებისა და შემთხვევების აღრიცხვას სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით და ინფორმაციას ყოველთვიურად აწვდიან ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს;

გ) კომპეტენციისა და „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა-დამუშავებას ამ პროცედურებში მონაწილე სუბიექტებს შორის.

მუხლი 5. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები

სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები:

ა) შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებულნი არიან, დაავალონ სააგენტოს მთავარ სპეციალისტს (იურისტი) ან/და სოციალურ მუშაკებს საპროცესო წარმომადგენლობის გაწევა, საჭიროებისამებრ, შემთხვევის შეფასება, მართვა და ზედამხედველობა;

ბ) უზრუნველყოფენ არასრულწლოვანის საპროცესო წარმომადგენლობაზე სოციალური მუშაკების მიერ მომზადებული საქმის მასალების ვიზირებას;

გ) პასუხისმგებელი არიან დაქვემდებარებული უფლებამოსილი პირების მიერ ბავშვთა უფლებრივ და იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებული საქმისწარმოების პროცესის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელებაზე;

დ) თანამშრომლობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტთან;

ე) ვალდებულნი არიან გამოყონ პასუხისმგებელი პირი, რომელიც სააგენტოს დირექტორის ბრძანებით სხვა ინფორმაციასთან ერთად, აღრიცხავს და ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს ყოველთვიურად მიაწვდის ინფორმაციას დამტკიცებული ფორმის მიხედვით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ არასრულწლოვანის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. უფროსი სოციალური მუშაკის, სოციალური მუშაკის, მთავარი სპეციალისტის (იურისტი), მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკის (საპროცესო წარმომადგენლის) კომპეტენცია არასრულწლოვანის მართლმსაჯულების პროცესში

საპროცესო წარმომადგენელი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არასრულწლოვანის სახელით მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად;

ბ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვანის საჭიროებების შესახებ;

გ) ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვანის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან;

დ) არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ;

ე) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ;

ვ) არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარების და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ;

ზ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ;

თ) საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მოითხოვოს საქმეში ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება;

ი) საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების მიმდინარეობისას გაამახვილოს ყურადღება ხარვეზებზე, დააფიქსიროს შენიშვნები წერილობით და არასრულწლოვანის ნებისმიერი უფლების დარღვევის ფაქტზე განცხადებით მიმართოს შესაბამის უწყებებს;

კ) მოითხოვოს არასრულწლოვანთან გასაუბრება გონივრული ვადით, რათა გამოკვეთოს მისი საჭიროებები;

ლ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების საფუძველზე გამოავლინოს არასრულწლოვანის საჭიროებები და მოითხოვოს მათი შესრულება;

მ) არასრულწლოვანის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები;

- ნ) განახორციელოს კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მეურვე, მზრუნველი) ინფორმირება;
- ო) წარმოადგინოს გაწეული სამუშაოს შესახებ დასკვნა ნარატიული ფორმით.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სააგენტოს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
2. სააგენტოს კომპეტენციაში შემავალი არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ინსტრუქციით, გადაუდებელი აუცილებლობისას, რეგულირდება სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოსთან შეთანხმებით.
3. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანის გადაყვანა შესაბამის სერვისში დარეგულირდეს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.